ხელშეკრულება №2
(CPV 64200000)

ქ. თბილისი 31 დეკემბერი 2017 წ.

შპს "მაგთიკომი", შემდგომში მოხსენიებული როგორც ოპერატორი (საიდენტიფიკაციო კოდი:204876606) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, ერთის მხრივ და სსიპ "ტექნიკური სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო", შემდგომში მოხსენიებული როგორც დამკვეთი, (საიდენტიფიკაციო კოდი:202466991) წარმოდგენილი მისი უფროსის გრიგოლ კაკაურიძის სახით, მეორეს მხრივ, შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

1.1 VPN – ნიშნავს განსაზღვრულ ტექნოლოგიას, რომელიც ლოგიკურად აკავშირებს სხვადასხვა კომპიუტერულ ქსელებს და რომელიც იძლევა საშუალებას უსაფრთხოების ამაღლების მიზნით განხორციელდეს ერთი ან რამოდენიმე ლოგიკური ქსელური შეერთება სხვა ქსელების გამოყენებით.

1.2 HTTP – მონაცემთა გადაცემის გამოყენებითი დონის პროტოკოლი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ლოგიკური დონის შეთანხმებული ინტერფეისების ერთობლიობას.

1.3 მოკლე ტექსტური შეტყობინება – ტექსტური ელექტრონული შეტყობინება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ციფრულ ტექსტურ ფორმატში.

1.4 სერვისის ნომერი – ოპერატორის მიერ, მომსახურების ფარგლებში დამკვეთისთვის გამოყოფილი პირობითი, მაქსიმუმ 11 ნიშნისგან შემდგარი ციფრებისა და ასოების კომბინაცია, რომლის მეშვეობით ხორციელდება ბოლო მომხმარებელთან დამკვეთის იდენტიფიცირება.

1.5 მომსახურება – დამკვეთის მიერ ინიცირებული მოკლე ტექსტური შეტყობინებების გადაცემის უზრუნველყოფა წინასწარ განსაზღვრული ბოლო მომხმარებლისათვის, რომლის დეტალური აღწერილობა მოცემულია 3.1 პუნქტში.

1.6 სპამი – მოკლე ტექსტური შეტყობინება, მულტიმედიური შეტყობინება, რომელიც იგზავნება დამკვეთის მიერ VPN კავშირის გამოყენებით აბონენტთან, აბონენტის წინასწარი თანხმობის გარეშე ან რომელსაც შეცდომაში შეყავს აბონენტი აღნიშნული მოკლე ტექსტური შეტყობინების ან მულტიმედიური შეტყობინების ხასიათის ან მათი გამგზავნის შესახებ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო ოპერატორი, საკუთარი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით, უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას ოპერატორის მობილური და უსადენო ფიქსირებული ქსელის(მაგთი, ბალი, ბანი და მაგთიფიქსი), სს სილქნეტის უსადენო ფიქსირებული ქსელის, შპს მობიტელის, შპს ჯეოსელის(ჯეოსელი, ლაი-ლაი) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ბოლო მომხმარებლებისათვის(შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „აბონენტები").

2.2 აღნიშნული მომსახურება ხორციელდება ოპერატორის მიერ მხარეებს შორის ორგანიზებული VPN ტექნოლოგიის კავშირით და HTTP მონაცემთა გადაცემის ოქმის გამოყენებით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მომსახურებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და სამართლებრივ-ფინანსური საკითხები.

3. მომსახურება, მისი ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 მომსახურება ხორციელდება შემდეგნაირად: დამკვეთი, მის მიერ იდენტიფიცირებული აბონენტებისათვის, პერიოდულად VPN კავშირით და HTTP ოქმის მეშვეობით აგზავნის ოპერატორთან მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (შემდგომში სმს), რომელსაც ოპერატორი, საკუთარი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით, სმს-ით აგზავნის აბონენტების მიმართულებით.

3.2 3.1 პუნქტში მითითებულ მომსახურებაზე დამკვეთისათვის ტარიფი განისაზღვრება დანართ N1-ის შესაბამისად.

3.3 მომსახურების სავარაუდო ღირებულებაა 3600 (სამიათასექვსასი) ლარი.(ტარიფები შეიცავს დღგ-ს.)

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მხარეები მოახდენენ ერთმანეთ შორის VPN კავშირის ორგანიზებას და მოახდენენ მომსახურების ტესტირებას. ტესტირებისათვის მხარეები გამოყოფენ შესაბამისი კვალიფიკაციის და უფლებამოსილებების მქონე თანამშრომლებს. მხარეები ტესტირებას დაასრულებენ და მომსახურების მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 7 კალენდარული დღის ვადაში .

3.5 მომსახურების მიწოდების დაწყების თარიღიდან, არაუგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა ოპერატორი მიაწვდის დამკვეთს, მის მფლობელობაში არსებულ წინა თვის ინფორმაციას, სადაც აღნიშნული იქნება აბონენტთა მიმართულებით გაგზავნილი შეტყობინებების რაოდენობა და დამკვეთისათვის ასანაზღაურებელი თანხა.

3.6 მხარეები ხელმძღვანელობენ და ეყრდნობიან ოპერატორის მიერ მიწოდებულ მონაცემებს.

3.7 მხარეები ტრაფიკის და შემოსავლების აღრიცხვას აფორმებენ ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

3.8 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 დამკვეთი ვალდებულია:

4.1.1 მიიღოს მონაწილეობა აბონენტების პრეტენზიების განხილვაში, თუ ეს ეხება მომსახურებას.

4.1.2 მის მფლობელობაში არსებული ტექნიკური საშუალებებით აწარმოოს საბილინგო ინფორმაციის აღრიცხვა.

4.1.3 ხელშეკრულების ხელმოწერიდან 7 კალენდარულ დღეში წარმოადგინოს აბონენტებისათვის გამიზნული მომსახურების განხორციელების დეტალური პროექტი და უზრუნველყოს აბონენტებისათვის მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა წარმოდგენილ პროექტთან.

4.1.4 დროულად აწარმოოს ანგარიშსწორება ოპერატორთან.

4.1.5 უზრუნველყოს განსაზღვრული ციფრული კოდის გააქტიურება და აღნიშნული კოდის ყველა სმს-ის ტექსტში განთავსება/გათვალისწინება, რომლის გამოყენებით აბონენტს შეეძლება ელექტრონულად უარი განაცხადოს სმს-ის შემდგომ მიღებაზე იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება მოსმახურება.

4.1.6 არ მოახდინოს VPN კავშირით სმს-ების გამოგზავნა იმ აბონენტების მისამართით, რომელმაც 4.1.5 პუნქტით განსაზღვრული კოდის გამოყენებით უარი განაცხადა სმს-ის შემდგომ მიღებაზე.

4.1.7 დამკვეთი ვალდებულია, მომსახურების ფალრგლებში, მიმართოს ყველანაირ ზომას იმის უზუნველსაყოფად, რომ ხელი შეუშალოს და აღკვეთოს სპამის, დაუშვებელი პროდუქციის რეკლამირება, ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც არის მუქარის შემცველი, ცილისმწამებლური, ვულგარული, შეურაცხმყოფელი, ან სხვა მხრივ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, მოქმედ კანონმდებლობას ან ხელყოფს სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებას.

4.2 დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს არსებული სერვის ნომრის/ნომრების ტექსტუალური ცვლილება, ასევე გააუქმოს ან დაამატოს სერვისის ნომრები.

4.3 ოპერატორი ვალდებულია:

4.3.1 მომსახურების ფარლგებში, დაამისამართოს სმს-ები აბონენტებთან VPN კავშირით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

4.3.2 გამოუყოს დამკვეთს სერვისის ნომერი/ნომრები(სერვისი ნომერი.ნომრები მითითებულია დანართ N1-ში) და მოთხოვნის საფუძველზე უზრუნელყოს დამკვეთისათვის დამატებითი სერვისის ნომრის/ნომრების გამოყოფა.

4.3.3 აწარმოოს დამკვეთისგან VPN კავშირით განხორციელებული შეტყობინებების დეტალური საბილინგო აღრიცხვა.

4.4 ოპერატორს უფლება აქვს შეცვალოს მომსახურების ტარიფები და წინასწარ, არაუგვიანეს 3 კვირისა შეატყობინოს ამის შესახებ დამკვეთს.

4.5 მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თავიანთი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა.

4.6 მხარეებს უფლება არა აქვთ საოქმო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ იდავონ ან რაიმე სახის პრეტენზიები განაცხადონ ტრაფიკის რაოდენობის ან გადასახდელი თანხის ოდენობაზე.

4.7 მხარეები ვალდებული არიან მომსახურების მიწოდებისას დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა და უზრუნველყონ მომსახურების პირობების შესაბამისობა მოქლედი კანონმდებლობის ცვლილების შემთავევაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები ადასტურებენ და აცხადებენ, რომ მომსახურება დაკავშირებულია დამკვეთის საქმიანობასთან და მასზე (ოპერატიულობაზე, სიზუსტეზე, შინაარსზე, მოცულობაზე და ა.შ.) პასუხისმგებლობას ოპერატორის და აბონენტების წინაშე იღებს დამკვეთი. დამკვეთს უფლება არ აქვს, ოპერატორის მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მომსახურების ფარგლებში გამოიყენოს ოპერატორის ან მისი ნებისმიერი ბრენდის ლოგოტიპი ან სახელწოდება. დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული ზიანი.

5.2 მხარეთა პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების არ ან არაჯეროვნად შესრულებაზე შემოიფარგლება და ვრცელდება მხოლოდ მომსახურების განუხორციელებლობით არ მიღებული თანხების ფარგლებში.

5.3 3.8 პუნქტში მითითებული ვადის დრღვევის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.1%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამკვეთს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან და დარღვევების აღმოფხვრისგან.

5.4 4.1.6 და 4.1.7 პუნქტებში აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი გადაუხდის ოპერატორს ჯარიმას 10.000 (ათიათასი) ლარის ოდენობით და ასევე იმ მომსახურების საფასურს, რომელიც განხორციელდა აღნიშნული პუნქტების დარღვევისას საანგარიშო თვის განმავლობაში.

5.5 ოპერატორი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ, ან არაჯეროვანი შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არ, ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია ისეთი სახის გარემოებებით (დაუძლეველი ძალა), რომლებიც წარმოიშვა ოპერატორისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს ან ნებას (ფორსმაჟორული გარემოებები). აღნიშნული გარემოებას განეკუთვნება 2.1 პუნქტში მითითებული სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ სმს-ების დაბლოკვა და სხვაგვარად შეზღუდვა.

5.6 ამ მუხლით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის პირგასამტეხლოს/ჯარიმის/ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზება ხორციელდება მხოლოდ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. ხოლო მათი გამოყენების შემთხვევაში პირგასამტეხლოს/ჯარიმის/ზიანის ოდენობის დარიცხვა/გამოანგარიშება ხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 12(თორმეტი) თვის ვადით. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 1(ერთი) თვით ადრე არც ერთი მხარე არ გამოხატავს ნებას მისი შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იგივე ვადითა და პირობებით, ყოველი მომდევნო ვადის ამოწურვის შემდეგ.

6.2 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება 3.4 პუნტში მითითებული ტესტირების წარუმატებლად განხორციელდების შემთხვევაში.

6.3 ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ეს ხელშეკრულება თუ რომელიმე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულების მოშლას ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ერთი თვით ადრე წერილობით აფრთხილებს მეორე მხარეს.

6.4 ოპერატორს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურება და მინიმუმ 2(ორი) კვირით ადრე შეტყობინებით, ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მომსახურების ფარგლებში, VPN კავშირით მიღებული სმს-ების დამუშავება ხელს შეუშლის/შეაფერხებს/გადატვირთავს მის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს და

ბილინგის ინფორმაციის დამუშავებას, ასევე 4.1.3 და 4.1.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან 5.4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით უქმდება მხარეთა შორის ყველა ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმება, რომელიც შეეხება ხელშეკრულების საგანს.

7.2 ყველა სადაო საკითხს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მხარეები მიმართავენ ან კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საერთო სასამართლოს.

7.3 ამ ხელშეკრულების პირობები კონფიდენციალურია მესამე პირთათვის.

7.4 ხელშეკრულებაში ცვლილებები და/ან დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

7.5 ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული 1 მუხლში, განიმარტება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით.

7.6 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეები:

ოპერატორი:

შპს „მაგთიკომი“

ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #7
საიდენტიფიკაციო კოდი: 204876606
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ა/ა GE73VT6600000000423607
კოდი: UGEBGE2
გენერალური დირექტორის მოადგილე

გია გოშორიძე

დამკვეთი:

სსიპ "ტექნიკური სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო"
ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #8
საიდენტიფიკაციო კოდი: 202466991

სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე

<u>დანართი N1</u>

ტარიფები გაგზავნილი სმს-ების რაოდენობის მიხედვით

თვეში გაგზავნილი სმს რაოდენობა	სააბონენტო გადასახადი თვეში ლარი დღგ-ს ჩათვლით
1 - 10000	300
10001 - 15000	400
15001 - 25000	500
25001 - 50000	800
50001 - 100000	1000
100001 - 250000	2000
250001 - 500000	3000
500001 - 1000000	4000
1000001 და მეტი	1 სმს-ის ღირებულება 0.004
საერთაშორისო მიმართულებით გაგზავნილი სმს-ის ღირებულება 0.024 ლარი	

1 სმს-ის ზომა - 160 სიმბოლო (ლათინური შრიფტი)
1 სმს-ის ზომა - 70 სიმბოლო (ქართული შრიფტი)

დამკვეთისათვის გამოყოფილი სერვისი სახელი / ნომერი

გამგზავნის სახელი
TACSA

ოპერატორი:
შპს „მაგთიკომი“

გენერალური დირექტორის მოადგილე

გია კოშორიძე

დამკვეთი:
სსიპ "ტექნიკური სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო"
დირექტორი

გრიგოლ კაკაურიძე